საჯარო სამართლის იურიდიული პირი-

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება № 1090

07 12 2018 წ.

ქ. თბილისი

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

„სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საშტატო განრიგის დამტკიცების შესახებ“ საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) დირექტორის 2018 წლის 24 იანვრის №51 ბრძანების გათვალისწინებით, „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 126[1] მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 34-ე მუხლის მე-6 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის 10[2] მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2017 წლის 21 აპრილის №204 დადგენილებით დამტკიცებული „საჯარო სამსახურში კონკურსის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის მე-5 პუნქტის, 26-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 27-ე მუხლის მე-2 პუნქტის, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლისა და 30-ე მუხლის პირველი პუნქტის, ასევე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ და „ნ“ ქვეპუნქტების საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. 2018 წლის 10 დეკემბრიდან 2018 წლის 21 დეკემბრის ჩათვლით გამოცხადდეს კონკურსი ცენტრის დირექტორის მოადგილის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად.
2. ამ ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ ვაკანტურ თანამდებობაზე თანამდებობრივი სარგო განისაზღვრება 4500 (ოთხი ათას ხუთასი) ლარის ოდენობით.
3. დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე კონკურსი გამოცხადდეს 1 (ერთი) ადგილზე.
4. სამუშაოს ტიპი - სრული განაკვეთი.
5. გამოსაცდელი ვადა - 3 თვე.
6. დირექტორის მოადგილის მიმართ დადგინდეს შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

ა) მინიმალური განათლება - დოქტორის აკადემიური ხარისხი;

ბ) სამუშაო გამოცდილება - არანაკლებ 10 წელი, მათ შორის, მენეჯერულ პოზიციაზე მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი და სამეცნიერო და/ან აკადემიურ სფეროში მუშაობის არანაკლებ 3 წლიანი გამოცდილება;

გ) კომპიუტერული პროგრამების (Ms.Word, Ms. Excel, Ms.Power Point, Outlook) კარგად ცოდნა;
დ) ინგლისური ენის ძალიან კარგად ცოდნა.
7. ცენტრის დირექტორის მოადგილის თანამდებობაზე კონკურსში მონაწილე კანდიდატს მოეთხოვება შემდეგი სამართლებრივი აქტების ცოდნა:
ა) საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი;
ბ) საქართველოს კანონი ,,ზოგადი განათლების შესახებ";
გ) საქართველოს კანონი ,,პროფესიული განათლების შესახებ";
დ) საქართველოს კანონი ,,უმაღლესი განათლების შესახებ";
ე) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
ვ) საქართველოს კანონი „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ";
ზ) საქართველოს კანონი ,,განათლების ხარისხის განვითარების შესახებ";
თ) „ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №120/ნ ბრძანება;
ი) ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის რეორგანიზაციის გზით საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბერის N 89/ნ ბრძანება;
კ) ევროპის უმაღლესი განათლების სივრცეში ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტების და სახელმძღვანელო პრინციპები (ESG);
ლ) ევროპის რეგიონში უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ცნობის კონვენცია, ლისაბონი, 1997 წელი;
მ) ბოლონიის პროცესი;
ნ) სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტრატეგიის დოკუმენტი 2016 – 2020 წწ.
8. ცენტრის დირექტორის მოადგილის მიერ შესასრულებელი სამუშაოს აღწერა:
8.1. უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
8.2. კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
8.3. რეესტრის სამმართველოს გამართული ფუნქციონირების უზრუნველყოფა;
8.5. შესაბამის სტრუქტურულ ერთეულებში შემოსულ კორესპონდენციებში დასმულ საკითხებზე გადაწყვეტილებების დროულად მიღების უზრუნველყოფა, მათ შორის, ამ სტრუქტურული ერთეულების მიერ მომზადებულ კორესპონდენციებზე ხელმოწერა;
8.6. საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა ამოცანების შესრულება;
8.7. ცენტრის განვითარებისათვის მიმართულ პროექტებში მონაწილეობა.
9. კონკურსში მონაწილე კანდიდატს უნდა გააჩნდეს შემდეგი უნარები:
ა) ეფექტური კომუნიკაციის (ზეპირი და წერილობითი);
ბ) დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღების;
გ) ანალიტიკური და სისტემური აზროვნების;
დ) პროექტის დაგეგმვისა და მართვის;
ე) დროის ეფექტურად მართვის;
ვ) შედეგზე ორიენტაციის;
ზ) ადამიანური რესურსების მართვის.
10. საკონკურსო კომისიის მისამართი და საკონტაქტო ინფორმაცია:
სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრი, საქართველო, თბილისი 0193, მ. ალექსიძის ქ. №1,
საკონტაქტო ტელეფონი - (+995 32) 2 200 220.
11. კონკურსში მონაწილე პირმა, ამ ბრძანების პირველი პუნქტით დადგენილ ვადაში, კონკურსში მონაწილეობისთვის განაცხადი და სავალდებულო დოკუმენტაცია უნდა წარადგინოს მხოლოდ

ელექტრონული ფორმით, საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ ადმინისტრირებული ვებგვერდის მეშვეობით (www.hr.gov.ge);

12. კონკურსში მონაწილეობისთვის კანდიდატმა განაცხადს უნდა დაურთოს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. აუცილებელია კანდიდატმა მიუთითოს 2 რეკომენდატორის ვინაობა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

13. კონკურსი ჩატარდეს 2 (ორი) ეტაპად:

ა) კანდიდატების მიერ წარდგენილი განაცხადების გადარჩევა;

ბ) შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრება.

14. საკონკურსო კომისია საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს ხმათა უმრავლესობით, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად, განცხადების წარდგენის ვადის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 თვისა.

15. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების სამმართველოს ვებგვერდის - www.hr.gov.ge - მეშვეობით კონკურსის გამოცხადების უზრუნველყოფა.

16. დაევალოს ცენტრის საქმისწარმოების სამმართველოს ამ ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.

17. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

დირექტორი

გიორგი ვაშაკიძე